გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ. — კ.
11	„	9 „ 50 „
10	„	8 „ 75 „
9	„	8 „ — „
8	„	7 „ 25 „
7	„	6 „ 50 „
6	„	6 „ — „
5	„	5 „ 50 „
4	„	4 „ 75 „
3	„	3 „ 50 „
2	„	2 „ 75 „
1	„	1 „ 50 „

იმერეთი

№ 280 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 280

ფასიანი ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს— 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ფლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს— 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმერეთ-კახეთის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ვ. მეტლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

რედაქციისაგან

„იმერეთის“ რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილს, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-მეხიშვილისა, კადეტთა კორპუსის ეკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 9 (აბონემენტის რიგზეშა).

სახალხო თეატრი

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ვალერიან გუნიას საბენეფისოდ

პირველად ორი ახალი პიესა

პირველი ორგანისდური პიესა

ნაოხარზედ

ანუ

ჩვენებური კენწლობანა

თანამედროვე სურათები 3 მოქმედ., ვალერ. გუნიასი.

მეორე ნაოსრგმნი პიესა

ახირებული შემთხვევა

ანუ

ძალად გაგიქცებული

მხიარული კომედია 2 მოქმ., მაქს მორრეისა, თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. ჩხეიძე, ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნიაკაგარლისა, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეკვეა, ნ. ჯავახიშვილი ჭ სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, ნ. სარკველაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი ტ სხვ.

საწევრო სეზონის ბილეთები ძალაშია.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ◆ დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ამხანაგობის დირექცია. ბილეთს დასდგამს მობენეფისე ვალ. გუნია.

ტფილისის სახალხო თეატრი.

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის-მიერ წარმოდგენილი იქმნება

ვ. გუნიას საბენეფისოდ

პირველად ორი ახალი პიესა

I

ნაოხარზედ

ანუ

ჩვენებური კენწლობანა

თანამედროვე სურათები 3 მოქმედ., ვ. გუნიასი.

II

ახირებული შემთხვევა

ანუ

ძალად გაგიქცებული

მხიარული კომედია 2 მოქმედ., მაქს მორრეისა, თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

მანონი

ოპერა 5 მოქმედ., შესიეჯ მასსენეისა.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 10 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქნება

მაზეპა

მუსიეჯ ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **„მანდარინის ფენი“**, მ. კიუისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კედლერი.

პირველი კერძო სამკურნალო

ეკიმის ნავთსარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ეკიმი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიძოკვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ფ. ავეტიქიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ჩირქურგიულ ავადმყოფობისა

ზ. ი. ბაბანანოვი. დილის 11—12 საათ. ქალების და ბავშვთ. ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბაქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ს. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—საამბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ზ. ნოლოლოვშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ეკიმი **ა. ზ. ზაქარიანიცა.** 1½—2 საათ. ქალისა და სანტესით ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ს. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკროსკოპიურ და ბაქტერიოლოგიურ ანალიზებს. 5 7 საათ.

ნ. ტ. არავანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს ხანლში და მსურველთ მასსაცხ., აუცრის ყვავილს გამართავს საეკიმო გიმნასტიკას ეკიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ეთი შაურია; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბაქელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Нава саръяна*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანგის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამის 6—7 საათამდე.

გაელიშვილი კონსტანტინე ელისაბეტის ქუჩა. სახლი მადოვანის. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოზიუბის ქუჩა, № 19.

ვაფაძე სპირიდონ. ჰეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორანიშვილიანოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის მარჯვენა მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-ზე.

ვ. ს. ფუსხელაშვილი—კირაჩხისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტეკრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღე

იაპონიის ელჩმა ლონდონში, ბარონმა გაიაშიმ «რეიტერ»-ის აგენტს ლაპარაკის დროს, სხვათა შორის, უთხრა: «პორტ-არტურის ალყის შემორტყმის დროს იაპონელების უმთავრესი აზრი ის იყო, რომ როგორმე პორტ-არტური ისეთ მდგომარობაში ჩაეგდოთ, რომ რუსეთის ფლოტს მის წავთსადგურში თავის შეფარება არ შესძლებოდა. უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონელებმა ეხლა თავიანთი აზრი მართლა განახორციელეს და ამით ადმირალი ტოგო გაათნთავისუფლეს. ეხლა ტოგო სხვაგან იმოქმედებსო (ნოვ.).

—

«ტაიმს»-ს ტოკიოდგან ატყობინებენ: იაპონელებს ძალიან უკვირდათ, რომ რუსები თავიანთ ფლოტს გადასარჩენათ არაფერს არ ეცადნენ. იმ დროს, როცა იაპონელები რუსების ფლოტს ზარბაზნებს უშენდნენ, ვემბეზე არაფერ არ იყოო (ნოვ.

—

გენერლებმა ნოგიმ და სტესელმა მოკლულთა ასაკრეფათ 5 საათით ზავი ჩამოაგდეს, მაგრამ მერე სტესელმა უარი განაცხადა და თავიანთ მოკლულები ადარ აკრეფინნა. იაპონელები ამბობენ, „სტესელი ასე იმიტომ მოიქცა, რომ შეეშინდა, ვაი თუ მკვდრების აკრეფის დროს ჩემი ჯარის კაცები იაპონელების მხარეს გადავიდნენ და ციხის საიდუმლოება შეატყობინონო. იაპონელები ამბობენ, ტყვე რუსების სიტყვით ოფიცრები ურრობენ და სტესელის ბრძანებას არ ასრულებენო. (ნოვ.).

—

«ნ. ი. ჰერ.»-ი სწერს: პორტ-არტურის ესკადრის დაღუპვა რუსეთისთვის დიდი უბედურებაა. რადგან პორტ-არტურის ესკადრა დაიღუპა, ვლადივოსტოკის ესკადრა დაზიანებულია ტ. ბრძოლის ველზე ზავი ზღვის ფლოტის გაგზავნაც შეუძლებელია, ამიტომ რუსეთმა ბალტიის ზღვაში ერთი ესკადრა კიდევ უნდა მოამზადოს. თუ ამ ესკადრის მომზადება დაგვიანდა, მაშინ ისევ ისა სჯობია, რომ ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა ეხლავე შუა გზიდან დაბრუნდესო. რუსეთს ამ რჩევას ინგლისური გაზეთებიც აძლევენ. (ნოვ.).

ახალი ამბავი

მეორე საბენეფისო წარმოდგენა. მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 8 დეკემბერს, ტფ. სახაზინო თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა ვალ. ლ. გუნიას საბენეფისოდ. წარმოდგენილ იქმნება თვით მობენეფისის ორიგინალური და ნათარგმნი პიესები; «ნათარზედ» (ორიგინალური), სცენები 3 მოქმ. და «ახირებული შემთხვევა» ანუ ძალად გაგებული, 2-მოქმედებიანი კომედია მაქს. მორრეისა, თარგმანი.

*** **გაძღიერებულ დღეთის წესების გაუქმება.** მთავარმართებელმა თ. გ. ს. გალიცინმა გააუქმა, როგორც გაზ. „კავკაზში“ ოფიციალურად გამოცხადებული, ქალ. განჯისათვის დადგენილი გაძღიერებულ დაცვის წესები, გამოცემული მთავარმართებელის თანამდებობის აღმასრულებლის ინფანტერიის გენერლის მ. ა. ფრეზეს მიერ.

*** **გუბერნატორად დამტკიცება.** «კავკ.»-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, ტფ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელად დამტკიცებულ იქმნა ამავე თანამდებობაზედ და ებოძა გენერალ მაიორის ჩინი.

*** **უმაღლესი სამეურნეო საწყობებელი კავკასიაში.** როგორც გაზეთი «ხლოგა» იუწყება, საერო განათლების მინისტროს გადაუწყვეტია კავკასიაში დაარსოს უმაღლესი სამეურნეო ინსტიტუტი, სამეურნეო ინსტიტუტი დაარსდება ქალ. ეკატერინოდარში, ჩრდილოეთ კავკასიაში. ამავე სამინისტროს განუზრახავს ქალ. ადელსაში დაარსოს ტეხნოლოგიური ინსტიტუტი.

*** **მოსკოვ-მარიუპოლის თანაშეწყობ.** გენერალ-ლეიტენანტი მოლამა დღეს, 8 დეკემბერს, მართველის კანცელარიის სადგომში (ლაბორატორის ქუჩა) მიიღებს სამსახურის საქმეთა გამო წარმომადგენლებსა და მთხოვნელთა.

*** **უნის ზედამხედველის ტურ-საგზაოს** მოკვლის გამო დაპატიმრეს ვინმე დურგალი ხომასურიძე რომელზე დაც ექვი მიეტანეს მკვლელობის ჩადენაში. ამ დურგალს ცოლს თუ[illegible] დედინანი ჰყვარობდა განსვ[illegible] საკაცი და იქნება ზურის ძიებაა[illegible]. მეზობე საშინაო [illegible]

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲝᲘᲠᲘᲗᲘ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ [illegible]

I. მთავრობის რევიზორის ანკარაში.

ამ დღეებში დაიბეჭდა და დაურიგდა ბანკის წევრთ დიდის ფორმატის რვეულად უმაღლესის ბრძანებით მოიხდარ რევიზიის ანგარიში. ვარდა ამ ანგარიშისა ეს რვეული შეიცავს ფინანსთა მინისტრის განკარგულებას, აქტებს და ბალანსს. სულ ამ რვეულში 60-დე გვერდია, მარტო რევიზორის ანგარიშია 50-დე გვერდი.

ქუთ. საერთაერთო ნდობის ბანკის პირველი რევიზია მოჰხდა უმაღლესის ბრძანებით 1902 წელს. ამ რევიზიის შედეგი, სამწუხაროდ, ჩვენთვის საიდუმლოთ დარჩა. როცა საზოგადო კრებებზედ წევრნი მოვიკითხავდით რევიზორის ანგარიშს, ბანკის საბჭო და გამგეობა მაშინვე ბურთს ჩაგვჩრიდა ხოლმე პირში: «ასაა! არ მოითხოვოთ, თვარა მაშინვე ბანკი დაიხურებაო. თუ ბანკის დაღუპა არ გსურთ, გარეშდით ცოტა ხანს, გვაღროვეთ, ყველაფერი კარგად მოეწყობა. ბანკის წევრებიც ყურობდენ ძალა-უნებურად და რაღაც გამოუცკვეველი ეშვით შეჰყურებდნენ გამგეობასა და საბჭოს მოქმედებას. ყველა ინსტიქტიურად ვგრძნობდით, რომ ეს სიჩუმე არ იყო სახეირო, რომ ბანკს კეთილი არ ეყრებოდა, მაგრამ მაინც ვიცდიდით და ვითმენდით... და აჰა, ეს სიჩუმე დაარღვია მთავრობის მეორე რევიზიამ, რომელიც მოჰხდა ამ ზაფხულს. რევიზორ ორდინის ანგარიში გახლავთ ნამდვილი ბრალდებითი ოქმი ბანკის საბჭოსა და გამგეობის მიმართ.

ამ საოცარმა ამბავმა შესძრა მთელი იმერეთი. ელექტროს ნაკადივით მოედო იგი ღიდსა და პატარას. მოაწყდენ ბანკს; ზოგი თხოულობდა თავის ფულს, ზოგიც გულის ფანცქალით ელოდა რევიზიის შედეგს. დიდის ლოდინის შემდეგ დაგვიანებდა რევიზორის ანგარიში და ჩვენ წინ გარდიშალა საშინელი სურათი. ეცანით ის, რის წარმოდგენაც არ შეგვეძლო. საკვალოთ სინამდვილეში გადააჭარბა ჩვენს ეშვებსა და მოლოდინს...

აქ არ შეეუდგები მის განხილვას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ ბანკს თანამედროვე ცხოვრებაში. ეს ყველასთვის აშკარაა. არ შეეხები აგრეთვე იმას, თუ რა დიდ როლს თამაშობდა იმერეთში ქუთ. საერთაერთო ნდობის ბანკი. ქუთაისის ვაჭრები, მოხელენი ტ. ინტელიგენცია ამ ბანკეთ იბრუნებენ სულს, ამ ბანკიდან გამოჰქონდათ სესხი; ამ ბანკში ინახავდნენ ფულს თვით სოფლელნიც კი. ამ ბანკს ჰყავდა 1600-დე წევრი $1^1/_2$ მილიონ მანეთის პასუხის გებით. ინარჩენებდა ყოველ წლივ 60 და 70 მილიონ მანეთსა. ბანკის ბედ იღბალი ჰქონდათ ჩაბარებული, მეთაურობდენ და ჰმართავდენ მის საქმეს ქუთაისის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი, დიდის ნდობით და რწმენით აღჭურვილნი. ბანკი თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა, წევრთ ეძლეოდათ მეტი და მეტი დივიდენდი. ეა აჰა იმ დროს, როცა ბევრნანი, რომ ბანკი ჰყვავის და მისი მომავალი უზრუველყოფილიაო, სწორედ ამ დროს გავარდა ზარდამცემი ხმა: ბანკმა აზარალა შვ-ქვაში, ბანკმა აზარალა ვეშ-სიდეკაში, მოუვდა ნახეკარ მილიონ მანეთზედ მეტი ზარალი, უშველეთო, ბანკი იღუპებაო!.. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შთაბეჭდილებას იქონიებდა ბანკის წევრებზედ ეს ხმები! რა რიგათ ააშფოთებდა მთელს იმერეთს: ბანკი იგივე გასათხოვარი ქალია, მის სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიან. ნდობა - დაკარგული, სახელ გატეხილი ბანკი დალუპულია. დაკარგეს რწმენა ბანკის მეთაურებმა, დაკარგა რწმენა თვით ბანკს და აჰა, მოაწყდნენ ყოველ-მხრიდან ფულის შეტანნი, დიდწყეს გამოტანა. ბევრმა ბოქაულიც კი მიაყენა ბანკს. დადგა საბედისწერო ქამი, დაუდგთ მძიმე დრო საბჭოს და გამგეობას.

გაიმართა ბანკის წევრთა კერძო კრებანი, სადაც მეუავე სიტყვებით ისესენებენ ბანკის მეთაურთ, ეშეკერებიან გამოცვლას და პასუხისგებაში მიცემას. ამ რამდენიმე თვის წინად მოახდინეს წევრთ ბანკში კერძო რევიზია; ამ რევიზიამ ბევრი რამ საგულისხმიერო გამოაშკარავა, მხოლოდ სამწუხაროდ არ დაბეჭდეს ამ რევიზიის ანგარიშები, რათა მით დაენახა საზოგადოებას ბანკის მეთაურთა მოქმედების სრული სურათი. ეეცდებით, ამ კერძო რევიზიის ანგარიშებიც გავაცნოთ ჩვენს მკითხველთ.

მაგრამ ვიკითხოთ ერთი, ნეტა ვინ დალუპა ჩვენი ბანკი? ვინ გაუთხარა სამარე? ვინ მიაყენა ნახევარ მილიონ მანეთის ზარალი? ბანკის გამგეობაა ამ საქმეში დამნაშავე. თუ ბანკის საბჭო, ორთავე ერთად თუ არც ერთი, ყველანი თუ ზოგიერთნი? უნდა დაიღუპოს ეს ბანკი თუ ეშველება რამე? აი ის ძირითადი საკითხნი, რასაც ეჭირეება საფუძვლიანი შესწავლა, მიუკერძეელი გამოკვლევა, სამართლიანი მსჯავრი. ეეცდებით არ დავზოგოთ შრომა და, შეძლებისა დაგვარად, გამოვარკვიოთ ყოველივე პირუთვნელათ, უბრალო გავამართლოთ და ბრალეული გავამტყუნოთ.

ჩვენი ბანკი, თუმც ფინანსიურია, მაგრამ იმავე დროს საზოგადო ორგანოა. მეთაურობდნენ საუკეთესო ინტელიგენტები, ამიტომ აუცილებლად საჭიროა აეხადოს ყოველივეს საიდუმლოების ფარდა, საჭიროა გაეცნოს საზოგადოება ყველაფრის პრესის საშუალებით. ამის ითხოვს ქვეყნის ინტერესი, ამის ითხოვს ინტელიგენციის ბრსტეჯი.

ჯერ კი განვიხილოთ მოკლედ ფინანსთა მინისტრის ქაღალდი და რევიზორ ორდინის ანგარიში.

აი რასა სწერს თავის ქაღალდში ფინანსთა მინისტრი:

— „ქუთაისის საერთაერთო ნდობის საზოგადოებაში (ე. ი. ბანკში) 1902 წელს მომხდარმა რევიზიამ გამოარკვია, რომ ეს ბანკი, თავის საქმეებსა და ოპერაციებში, შესამჩნევად გადასცილებია თავის წესდებას და საბანკო მოქმედების სიფრთხილეს და სისწორეს, რის გამო ჩაგარდნილა მეტად შეეიწროვებულ მდგომარეობაში. არ ჰქონებია არც საკმაო საწარმოვო სახსარი და არც მეტი ნაწილი თავის აქციისა“.

შემდეგ განაგრძობს მინისტრი: „უმაღლესის ბრძანებით, ბ-ნ ორდინს მიერ ამა წელს მეორედ მომხდარ რევიზიამ დამაზარა რომ ბანკის გამგეობას არ შეუწუხებია თავი და არ მოუყვანია სისრულეში ყველა ის ღონისძიები, რომელიც ნაჩვენები ჰქონდა ბანკს თავის საქმეთა მოსაწყობად. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ბანკის მდგომარეობა კიდევ უფრო შესამჩნევად უკან წასულა ამ ორის წლის განმავლობაში; მისი ოპერაციები შემცირებულა; შავი-ქვის ოპერაციებზედ ბანკს აქვს გაცემული 300 ათასი მანეთი, რომელიც არავითარ გარაოთი არაა უზრუველყოფილი, ზარალში ჩასაწერ ვექსილთა ჯამი კი ადის 172 ათას მანეთამდე. აშკარადა სჩანს, რომ ამ ბანკს მეტად გაეჭირდება დაკამყოფილოს თავის მოვალეები და შესაძლებელია, რომ მიღებულ იქმნას X საკრედიტო წესდების 138 მუხლი, რის ძალითაც საკრედიტო დაწესებულება (ე. ი. ბანკი) უნდა გამოცხადდეს კოტრად, თუ შესწყვეტს ვალების გადახდას თავის საქმეთა წახდენის გამო“.

ამიტომაო, ბრძანებს მინისტრი,—საკრედიტო წესდების 117, 118 და 136 მუხლების ძალით, ვაძლევ წონადადებას ბანკის გამგეობას: 1) მოახდინოს, რაც შეიძლება მოკლე ხანში, წევრთა საგანგებო კრება შესავსებად ბანკის ზარალისა, რომელიც ადის 538 ათას მანეთამდე, და ძირითადის თანხისა; თუ არა, უნდა მოხდეს ბანკის საქმეთა სრული ლიკვიდაცია და განეცხადოს სამჯავროს მისი კოტროობა. 2) დაბეჭდოს ეს ჩემი წინადადება და რევიზორის ანგარიში საკმაოდ და დაურიგოს ბანკის წევრთ და 3) აუწყოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო კრების დადგენილებანი. ამასთანავე დავსძენ, რომ, თუ ვინცობაა არ იქნა შესრულებული ყოველივე ზემო აღნიშნული მოახოვნილება, იძულებული ვიქნები, განვუცხადო სამჯავროს საკრედიტო წესდების 136 მუხლის ძალით ამ ბანკის გაკოტრება. ხელს აწერენ ფინანსთა მინისტრი სენატორი ვ. კოკოვცევი და დირეკტორი ბ. მალეშევსკი.

სიმონ ქკარაანი.

(შემდეგი იქნება)

საქართველო

ფოთი. პოლიციის დაბალ მოხელეთა თავგასულობა. დღე ისე არ გაივლის ამ ადლილელი ფოთში, რომ რაიმე ახალი, არა ჩვეულებრივი ამბავი არ მოჰხდეს: კაცის კვლა, თავდასხმა და სხვ. კაცის დაჭრა ხომ ორი ერთ შაურად არის და ისრე მიჩვეული გვაქვს ყური ასეთ ბორტ-მოქმედებისათვის რომ მინაც და მაინც დიდ სამწუხარო ამბათ არ მიგვანნია. განა ბევრიც რომ იწუხო, რა გამოვა? უმთავრესად ამ გვარ ამბების ჩამდენი თვით აქაურ პოლიციის დაბალი მოხელენი არიან. მათი კანონი და ვიეკაცობაც სულ ხმალზედ არის დამოკიდებული. როგორ შეეგებლიან, რომ ვინმემ ერთი სიტყვა გაუბედო; მაშინათვე გული მოუუთდა და, თუ არ მოვშორდით მალე «უჩასტკაშიც» ამოვყოფთ თავს. ამას კიდევ ვინ დაგაჯერებს; «ამ უჩასტკამდისაც» გაგისწორებენ ანგარიშს, ამოიღებენ «მშვიდობიანობის» დასაცველ იარაღს და შიგ ვწკეპენ თავში.

მერე გგონიათ ეშინიანთ ვისიმე? დიდაც არა! ხმასაც არ აუმაღლებენ ის ხომ «გარადავოიაა»!

ამას წინად დაუქნების ერთს ასასს მოჰვარდნოდა «გარადავოი» მეგრელიშვილი და კინაღამ დაეჭრა. როდესაც ასასს მიზეზი უკითხავს, პოლიციელს უპასუხნია, «რატომ გძინავს». ასასი კი თურმე დაუქნებ წინ დადიოდა, და რასაკვირველის, რომ ელვიძებოდა. მეორე შემთხვევა იყო კიდევ ამ კვირაა. ისევ ის „გარადავოი“ მიჰვარდნია ერთს ჭკუიდგან შემცდარს, რომელიც ყოველთვის თავისთვის დაეხეტება და არავის არაფერს არ ერჩის; «გარადავოის» რაღაც უკითხავს და, რადგანაც ამ აკანასკნელს ვერ უპასუხნია, ხმალი დაურტყამს და გაქცეულა.

მართალია, შეშლილი მსუბუქად იყო დაჭრილი, მაგრამ მაინც დიდი ურიგობაა და უკანონობაც ასეთი გმირული საქცელი.

კარგი იქმნება, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ, ვისაც ჯერ არს.

სე. ონ ზეზობნელი.

თეატრი და ხელოვნება

მეორე სახალხო წარმოდგენა. კვირას, 5 დეკემბერს ვეტცელის თეატრში გამართული იქმნა წარმოდგენა დაკლებულის ფასებით. წარმოადგინეს ჩვენი ნიჭიერის მგოსნის, აკაკის, ისტორიული დრამა «პატარა, კახი», ვამბობთ წარმოადგინეს, თუმცა მართალი უნდა სთქვას კაცმა, კვირის წარმოდგენა ფარო წამება იყო როგორც ავტორისა, ისეც დამსწრე საზოგადოებისა, რომელსაც ხომ აქვს უფლება მოითხოვოს, რომ ათასჯერ ნაკოხნი და ნათამაშები პიესა მეათას პირველად მაინც უნაკლულოდ იყოს ნათამაშევი. როლის უცოდინრობა, ლექსთა წყობის წარბ-შეუხრელი დარღვევა და ბრაზდა გადაკეთება, რომელიც ათასჯერ იყო აღნიშნული და გაკიცხული, უკანასკნელ წარმოდგენაზედაც ისეთივე სიამოვნებით ატკბობდნენ მსმენელის ყურს და არ შეგვიძლიან ეს არ ვუსაყვედუროთ წარმოდგენის გამგეს, რომელსაც არავითარი ცდა არ გაუწევია, რომ წარმოდგენა, ვიმეორებთ, ათასჯერ ნათამაშევის პიესისა, მართალი წარმოდგენას გვანდობდა და არა რეპეტიციას ან კიდევ რად თამაშობდენ ზოგიერთ როლებში, მაგ. თეიმურაზის, რეკეზის როლში გამოუცდელი პირები, როცა დასში მოიპოვებოდენ თავისუფალი მსახიობები, რომელთაც თამამად შეეძლოთ ეთამაშათ იმ სადამის. იქნება იმიტომ, რომ წარმოდგენა სახალხო იყო და ეს კი მათ თავ-მოყვარეობას დაამცირებდა?. ერთი სიტყვით, თუ საქმე რამ კეთდება, უნდა კეთდებოდეს რიგიანად, ძალ ღონის დაუშურებლივ, და თუ ეს შეუძლებელია, სჯობს სულაც არ გაკეთდეს. წარმოდგენას სიცოცხლე მისცა ი. ივანიძის ეშმაკიტ დრამატიზმით სავსე თამაშობამ გელას როლში, რომელიც მსახიობმა სრულის სინამდვილით დაგვიხატა გრძნობით, მიხვრა-მოხვრით, ხმით, ლექსის კარგად ცოდნით და მოფიქრებული გამოთქმით. კარგი დარბაისელი გივე იყო ვ. შალიკაშვილი. დ. ჩარკვიანმა პატარა კახის როლში საკმაო დიდი ტემპერატენტი გამოიჩინა და ზოგიერთი მომენტი მაინც ცოცხლად დასურათა, რაც მსახიობს თანდათან უფრო გაუადვილდება, თუ ამ მხრივ მიაქცევს ყურადღებას და განავითარებს ნიჭს, რომელსაც არ არის მოკლებული ო. ლეკვაც კარგი ტუოფა იყო, თუმცა ჩვენ მისგან მეტს მოველოდით.

ვეტცელის თეატრის პატარა შენობა თითქმის სულ სავსე იყო ხალხით.

—

სახალხო წარმოდგენა ავლაბარში. შაბათს, 4 დეკემბერს ავლაბარში ნ. მუზაშვილის თეატრში სცენის მოყვარეთა მიერ არტისტის ი. ივანიძის მონაწილეობით ვ. მატარაძის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა ვალ. გუნიას ისტორიული დრამა „და ძმა“. წარმოდგენამ მწყობრად და რიგიანად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგები იყვნენ: თვით მობენეფიციენტი (გაიოზის როლში), ი. ივანიძე (ქეზუ ადამიას როლში), ქ. საყვარელიძისა (მარინეს როლში), და მელაშვილი (გიორგი ადამიას როლში, თუმცა პროგრამაში ბ-ნი ბეგლარიძე იყო გამოცხადებული) და ლ. ბადაშვილი (ოტია ჯოლიას როლში), დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს. საზოგადოება ბევრი დაესწრო. ტაშისა და ვაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა და ხალხიც ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში.

ᲔᲒ. ᲩᲣᲒᲣᲠᲔᲚᲘ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

ᲓᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

4 დეკემბერი.

ᲠᲘᲨᲘᲣ, 3 დეკემბერი. (რეიტერი) პორტ არტურიდან მოსული რუსები ამოწმებენ იაპონის ოფიციალურ მოხსენების ეშმარიტებას შესახებ რუსის გემების მოსპობისა და აცხადებენ, რომ იაპონელებს ორის თვის წინად შეეძლოთ რუსის ფლოტის მოსპობა, მაგრამ, ცხადია, არიგეს ზარბაზნები ციხის წინააღმდეგ მიემართათ. ფლოტის მოსპობა ამტკიცებს, რომ იაპონელებმა დაპკარგეს ამდენი პორტ-არტურის აღებისა. გასულ თვეში იაპონელებმა დაპკარგეს სამი ნაღმიანი გემი, რომელიც ნაღმებს წაეწყდნენ; მესამე ჩაიძირა პირველ დეკემბერს, ღამე იერიშის დროს. ბრძოლაში, რომლის შემდეგ «მაღალი გორა» აიღეს, დაპკარგეს იაპონელებმა 12,000 კაცი. ამ მთიდან მხოლოდ ზვერვა შეუძლიათ იაპონელებს. ამათ არ აუღიათ არც ერთი მთავარი ფორტი. სამმა გემმა, რომელიც სურასათთა და ამურნიკოთ იყვნენ დატვირთულნი, ბლოკადა გაარღვიეს უკანასკნელ სამი კვირის განმავლობაში. რუსების იმედი, რომ პორტ-არტურის გარნიზონი არ დანებდება მტერს რამდენსამე თვის განმავლობაშია, უფრო და უფრო ძლიერდება. იაპონელები სულით ეცემინენ. ბევრ უსაგნებლო ზარალის გამო. მოსულ რუსებს დაუტოვებიათ პორტ-არტური გუშინ. მეტად თუმც დაინტანჯნენ ქარბუქისაგან, კინაღამ არ გაიყინენ და ეიმუმარებლად ნაპირზე ვერ გამოვიდნენ. ამათ ბევრი ოფიციალური დეპეშა მოიტანეს.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 4 დეკემბერი (რეიტერი). თანახმად პორტ-არტურიდან მოსულ დეპეშისა, სსტესელს მოლაპარაკება გაუმართავს იეპონელებთან, რომ ჰოსპიტლებს ყუმბარები არ ესროლონ. მან გაგზავნა ნოგის ჰოსპიტალების მდებარეობის პლანი.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ., 4 დეკემბერი (ჰავასის სააგ.) იმ სამედიატორო კომისიის წევრებს, რომელმაც უნდა გამოიძიოს გულის ინციდენტი, პრეზიდენტი ლუბე მიიღებს 7 დეკემბერს; შემდეგ დელეგასეთან მივლენ. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ შეიკრებიან მეხუთე სამედიატორო მოსამართლის ასარჩევად. ჰფიქრობენ, რომ ერთი სხლომა იქნება საკმაო ასარჩევ წევრის შესახებ შესათანხმებლადაო. როგორც ისმის, ეს წევრი ადმირალი შპინონი იქნება.

ᲛᲝᲜᲢᲔᲠᲘᲝ. 3 დეკემბერი. საგანგებო ცნობა, ვითომ ციმბირის რკინის გზაზე საფიცრო ეკონომიურ საზოგადოების საქონელთა დატვირთული 250 ვაგონი დაკარგულიყოს, მართალი არ არის. ეს საზოგადოება აცხადებს, რომ იცის სად არის მისი ვაგონები. ომიდან დაბრუნდა ახალგაგაზდა ტტპფერი, რომელმაც «ვო-

ლნოოპრედელიაიაუ"შრობიდან" პორუჩიკის ჩანი მიიღო და რომელიც სამის გიორგით დაჯილდოვეს ბევრ ბრძოლაში მონაწილეობისთვის. ტეპეფერს გულში აქვს მოხვედრილი ტყვია და ფეხი წარმოეფული.

ოდესა, 4 დეკემბერი. რუსის საზღვაოდაბის გემით იაპონიიდან მოვიდნენ 43 რუსის ექიმი ტ სანიტარი, რომელნიც ტყვედ წაიყვანეს იაპონელებმა ტიურენჩენისა და ვაფანგოს ბრძოლის დროს, როცა ეს-ენი დაჭრილებს შველდნენ. მათ შორის არიან—ექიმები შეკოცკი, პოპოვიჩი და რიკვოვი, აგრეთვე 12 ჯარის კაცი, რომელნიც იაპონელებს განუთავისუფლებიათ, რადგან დასახიჩრების გამო სამსახურისათვის აღარ გამოდგებიან; აგრეთვე 7 ფერშალი და სანიტარი კრეიცერ «რიურიკ»-დან. საზღვაო პირნი კრონშტადტში მიდიან ფლოტის მეკვიდმეტე ეკიპაჟში, დანარჩენები თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.

5 დეკემბერი

პარიზი, 5 დეკემბერი. «ეხო დე პარი»-ში გამოქვეყნებულია წერილი პარიზის მუნიციპალური კრების პრეზიდენტი, უგზაფნის რა თავის წელილს გაზეთისაგან პორტ-არტურის დამცველთა სასარგებლოდ გამართულ ხელმოწერაში, ამბობს: რაც უნდა შემაძარწუნებელი იყოს ეს ომი, რომელმაც მანჯურია "მოჰფინა მკვდრებით, მაინც იგი ვერ დაახშობს ჩვენ განცვიფრებას პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარის მგრძობთ. თქვენი პატივის ცემა ეხება რუსეთის არმიას და რუსეთის ერს, და ამიტომ კარგს შვრებით, რომ ყველა ფრანგებს იწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

ბათუმი. 3 დეკემბერი. საღამოს 6 საათზე ქალაქის განაპირას, საავადმყოფოს კანტორაში ოთხი ადგილობრივი მცხოვრები შემოვარდა. იმათ ზედამხედველს თავში ცემა დაუწყეს და მოკვლას ემუქრებოდნენ, სანამ იმან 1500 მანეთი არ მისცა მათ, რომელიც დამზადებული ჰქონდა საავადმყოფოს მოსამსახურეთათვის მისაცემად. ბოროტ განმზრახველნი ფულის მიღებისთანავე გაიქცნენ. უეჭველია, ამ თავს დასმაში უნდა მონაწილეობა ჰქონდეს საავადმყოფოს წესების მცოდნე კაცს. არსდება მუშათა პირველი არტელი.

ვაკაბა, 4 დეკემბერი. დოპლომატიურმა კონფერენციამ, რომელიც საგოსპიტალო გემების მდგომარეობის განსახილველად იყო შეკრებილი, თითქმის შეუცვლელად მიიღო კომისიისგან შემუშავებული შეთანხმება.

ვენა, 5 დეკემბერი. ავსტრიის დელეგატები ბერლინს წაელენ მომავალ კვირის დასაწყისში, გერმანიისა და ავსტრო-ჰუნგრეთის შორის საგაჭრო ხელშეკრულობაზე მოლაპარაკების განსაახლებლად.

ქრისტიანიანია, 4 ნოემბერი. მთავარი კომანდირი ფლოტისა და პორტისა და უფროსი ბალტიის ზღვის ესკადრისა ვიცე ადმირალი ბირილევი ლიბავაში წავიდნენ.

ბელგრადი, 4 დეკემბერი. როგორც სარწმუნო წყაროდან იტყობინებიან, მთავრობას განზრახვა აქვს სესხი აიღოს. ფინანსთა მინისტრი საზღვარ-გარეულ წავიდა ვენის, პარიზისა და ბერლინის ბანკებთან მოსალაპარაკებლად.

ვენა; 4 დეკემბერი. გრაფი ტისა მიიღო მეფეს ეკრძო აუდიენციაში. მეფეს გადასწყვიტა დაითხოვოს ჰუნგარეთის პარლამენტი 22 ან 23 დეკემბერს, რის შემდეგაც შეუდგებიან ახალ არჩევნებს.

ჰელსინგფორსი, 4 დეკემბერი. გენერალ ბობრიკოვის სიკვდილის შემდეგ ნახევარ წლის შესრულების გამო გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ გენერალ გუბერნატორი, მისი თანაშემწე, რუსის სასწავლებლები, ჰელსინგფორსის რუსის საზოგადოება და ფინლიანდიის სენატის წარმომადგენელნი.

კეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის სტესსელის უქვეშევრდომილესი დეპეშა მის უდიდებულესობას, 12 ნოემბერს. «ბეჭნიერება მაქვს ვაუწყო თქვენს უდიდებულესობას, რომ 7 ნოემბერს იაპონელებმა მძლავრად დაუშინეს ყუმბარები და შემდეგ იერიში მიიტანეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფრონტის ერთს სიმაგრეზე; იაპონელთა ჯარი ერთი ნაწილი ბრუსტვერზე შეხტა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა შტიკებით ამოსწყვიტა და თხრილში გადაადგო იაპონელები. სარეზერვო ჯარი შრაპნელით გაიფანტეთ. 8—10 ნოემბრამდის იაპონელები მძლავრად უშენდნენ ყუმბარებს სიმაგრეებს და, დიდი ზარალის მიუხედავთ, გულადად მოდიოდნენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფრონტის ორი სიმაგრის თხრილებზე. 10 ნოემბერს, საღამოს $5^1/_2$ საათზე იაპონელებმა ერთბაშად მოიტანეს იერიში ამ ფრონტის ზოგიერთ სიმაგრეებზე, ხელში ჩაიგდეს სანგრების ერთი ნაწილი, მაგრამ ჩვენმა სარეზერვო ჯარმა შტიკებით ამოსწყვიტა ისინი. შუადამეს იაპონელებმა ისევ მოიტანეს იერიში და დაიჭირეს სანგრების ერთი ნაწილი; ჩვენმა ჯარმაც ისევ ამოსწყვიტა ისინი შტიკებით. 11 ნოემბერს დილის ორ საათზე ბრძოლა დასრულდა და თქვენი უდიდებულესობის ჯარმა მოიქცა სული და ყუმბარებისაგან დაზიანებული ადგილების შეკეთებას შეუდგა. ყველაფერი ჩვენ ხელში დარჩა. ჩვენი ზარალი მცირეა. იაპონელებმა 7-დან 11 ნოემბრამდის 2 ათას კაცზე მეტი დაჰკარგეს. ყველანი გმირულად იბრძოდნენ. განსაკუთრებით ისახელეს თავი გენერლებმა კონდრატენკომ, ნიკიტინმა და გორბატოვსკომ; პოდპოლკოვნიკმა ნაუმენკომ; კაპიტენებმა—ბულგაკოვმა და ვისოცკიმ. პოდპორუჩიკმა ვიღმანმა, მეორე ხარისხის კაპიტენებმა გერასიმოვმა და ბახმეტევმა; ლეიტენანტებმა—პოდგურსკიმ, გეინერმა და რაზეროვმა და იეგერმეისტერმა ბალაშოვმა. მტერი ყოველ ღღე უშენს ყუმბარებს ქალაქსა და ნავთსადგურს. შენობათა ერთი ნაწილი დანგრეულია. ნავთსადგური დაზიანდა. მეციხოვნე ჯარი ძლიერ მხნედ არის".

გენერალ-ადიუტანტის სტესელის დეპეშა მის უდიდებულესობას, 15 ნოემბერს: „13 და ნოემბერს იაპონელებმა მოიტანეს პორტ-არტურზე იერიში, რომელსაც საშინელი სისხლის ღვრა მოჰყვა. პირველად 12 ნოემბერს ღამე იაპონელებმა იერიში მოიტანეს ჩვენ მარცხენა ფრთაზე მტრედის ბუტის ახლოს. უკე ვაქციეთ დიდის ზარალით, იმავ ღამეს იერიში მოიტანეს ბალუნჯანზე მყოფ ჩვენ რაზმზე, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენ. იმავე ღამე უკუ ვაქციეთ იაპონელები მაღალ ბორიდან. 13 ნოემბერს მძლავრად დაუშინეს ყუმბარები და მძლავრი იერიში მოიტანეს ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ფრონტის სიმაგრეებზე და სანგრებზე. სანგრები ჯერ გადადოდა ხელიდან ხელში. 13 ნოემბერს ღამე ჩვენ საბოლოოდ უკუვაქციეთ იაპონელები შტიკებით. ერთ სიმაგრეზე იმათ აფეთქეს ბრუსტვერი და ზედ პარალელის ზენაზე დაიწყეს, მაგრამ აქედანაც უკუვაქციეთ. მეორე სიმაგრეზე იაპონელებმა ტომრები ჩაიწყეს, მაგრამ ეს ტობრები არტილერიამ გაჭაჭანტა. საღამოს 10 საათზე იაპონელთა ძლიერმა ჯარმა იერიში მიიტანა მარცხენა ფრთიდან ერთ ბატარეაზე, დაიჭირეს ბატარეის ერთი ნაწილი, მაგრამ ჩვენმა ჯარმა შტიკებით ამოსწყვიტა ბევრი იაპონელი და დანარჩენები უკუაქციეა. უნაყოფო იერიშების შემდეგ, იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ციხის შიდა ნაწილს და 14 ნოემბერს დილის 5 საათამდის ესროდნენ. დედოფლის დაბადების ფრიად-მნიშვნელო ვან ღღეს უფალი იყო ჩვენი შემწე ახალი და გამარჯვება მოგვივლინა. განსაკუთრებით ისახელეს თავი: გენერლებმა ნიკიტინმა, კონდრატენკომ და გორბატოვსკომ; პოდპოლკოვნიკებმა გრიაზნოვმა; კაპიტენებმა ბულგაკოვმა და იშლენმა და პოდპორუჩიკმა ვაშეფსკიმ. მაქვს ბედნიერება ვაუწყო თქვენს უდიდებულესობას ამ საზარელი იერიშის მოგერების ამბავი.»

17 ნოემბერს გამოვზავნილი დეპეშა: «14-ს იაპონელებმა მძლავრად დაუშინეს ყუმბარები და განუწყვეტელივ იერიში მიიქცთ მაღალ გორაზე ღიდს ჯარით. იაპონელები უკუ ვაქციეთ. გენერალ-ადიუტანტის სტესსელის დეპეშა მის უდიდებულესობას 19 ნოემბერს: 12 ღღის შტურმი, 7 ნოემბერს დაწყებული, ამაღამ საბოლოოდ მოგერებულ იქმნა, ბედნიერი ვარ ვაუწყო თქვენს უდიდებულ სობას, რომ ამ ღვაწლის შესრულება მხოლოდ თქვენ უდიდებულესობის მამაც ჯარს შეეძლო. ჯერ არ ყოფილა ასეთი საზარელი იერიში, განსაკუთრებით მოქმედებენენ იერიშის მოგერების ღროს: გენერლები—კონდრატენკო, ნიკიტინი და გორბატოვსკი; პოლკოვნიკები—ირმანი ტ ტრეტიაკოვი. პოდპოლკოვნიკები—ნაუმენკო და განდურინი. ამათ, გმირ აფიცრებსა, მსროლელებს, არტილერისტებს და მეზღვაურებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ პორტ-არტური შეენარჩუნეთ. იაპონელებმა, ტყვეებისა და ჩინელების სიტყვით, 20 ათას კაცამდე დაჰკარგეს. ვთხოვთ თქვენ უდიდებულესობას და ხელმწიფე დედოფლებს ილოცოთ ჩვენთვის, რადგან, როგორც სნანს, თქვენმა ლოცვამ გვიხსნა განსაცდელისაგან. როგორც თქვენი უდიდებულესობის გენერალ ლეიტენანტი, თქვენის სახელით მადლობა გამოვუცხადე ჯარს».

უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის სტესსელისა მის უდიდებულესობას, 23 ნოემბერს: «გუშინ, დილის 7 საათზე იაპონელებმა თავი მოიყარეს მთელ თავის ჯარს და იერიში მოიტანეს მაღალ გორაზე, და ამავე დროს 11 და 16 დიუმიანი ყუმბარები დაუშინეს. მთელი ღღე გამწარებული ბრძოლა იყო. ჩვენ სამჯერ მოვიგერიეთ იერიშით წამოსული მტერი, საღამოს ხანს იაპონელებმა დაიჭირეს მთის წვერი და მაშინათვე დადგეს ზედ ორი ტყვიის მტყორცნელი. დაჭირილთა შორის საავადმყოფოების ინსპექტორმა გენერალმა ცერპისკიმ და ზაზერვის დარაჯების პოდპოლკოვნიკმა ბუტუსოვმა და პოლკოვნიკმა ირმანმა განსაკუთრებით ისახელეს თავი".

გენერალ-ადიუტანტის სტესელი უქვეშევრდომილეს დეპეშა მის უდიდებულესობას, 27 ნოემბერს: „23 ნოემბერს იაპონელებმა დაიჭირეს მაღალი გორა. ბასსინეზე მდგარ ჩვენ გემებს მტრის 11 დიუიმანინ ყუმბარები ეზიანებენ. გადაცვალა ჭრილობისაგან გენერალი ცერპიკი. ჯარი მეტად მხნედ არის".

6 დეკემბერი.

ნემიროვი. თავად შერბატოვის მეუღლემ შესწირა ფქვილი და შაშა თავის მამამეთ 25 სოფელში მცხოვრებ გაწეულ სათადარიგო ჯარის-კაცთა ოჯახებს.

ჩიფუ, 4 დეკემბერი (რეიტერი). გუშინ მოვიდა პორტ-არტურიდან ნავით პატარა რაზმი, რომლის უფროსი მიშჩენკოვი, 203-მეტრიან გორაზე ბრძოლის ღის დროს ფეხში დაჭრილი, შემდეგს იუწყება პოზიციის აღების შესახებ. იგი ამბობს, ჩვენან მოტანილ დეპეშებში უმთავრესად სტატისტიკური ცნობებია იაპონელთა არტილერიის მოქმედების შესახებო. მიშჩენკოვი ამბობს, 15 ნოემბრიდან დაწყებული განუწყვეტელი ბრძოლა იყო 203-მეტრიან გორაზეკო. იაპონელები ფერდობებზე მიცოცავდნენ და არ შეეძლოთ პასუხი გაეცათ რუსებისათვის, რომლებიც საშინლად უშენდნენ თოფებს. იაპონელთა მთელი როტები ამოსწყვეტეს. ორივე მხრით საოცარის სიმამაცით იბრძოდნენ. გორის ფერდობი მკვდრებით მოიფინა. თოვლი სისხლით შეიღება. რუსებმა, რაც კი შეეძლოთ, შეასრულეს გორის დასაცველად, შემდეგ უკან დაიწიეს და მიანდეს მახლობელ გორების, განსაკუთრებით კი ლიაოტეშანის არტილერიას უკუვაქცია იაპონელები გორის წვერიდან. როცა იაპონელმა მეფრაშემ დროშა ამართა გორის წვერზე, რუსის ფელდფებელი, რომელიც მისდევდა უკან მომავალ ამხანაგებს, დაბრუნდა, მივარდა დროშასთან და კბილებითა და ფრჩხილებით გლეჯა დაუწყო, სანამ 7 ტყვიით განგმირული არ დაეცა მიწაზე. როცა რუსის არტილერიამ აიძულა იაპონლები დაეტევებინათ მთის წვერი, რუსებმა ისევ დაიჭირეს იგი. მეორე და მესამე ერიშები პირველის განმეორება იყო. ყველაზე მეტი სისხლის ღვრა მეორე იერიშს მოჰყვა, რადგან ხელჩართული ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელდა. იერიშის დროს შემდეგი შემთხვევა მოხდა: რომ მეფრაშე მთის წვერზედ ავიდა და დროშის ამართვა დაამირა, ტყიით განგმირული დაეცა მიწაზე და დროშა ხელში ეპირა. მეორე იაპონელი მივარდა დროშასთან და იმასაც ამნაირი ბედი ეწვია; ექვსი სხვა იაპონელიც ამგვარად მოკლულ იქმნა, როცა მეექვსე იაპონელი მივარდა დროშას, რუსის ოფიცერმა დაიძახა: «ნუ ესვრით მეფრაშეს: დროშას ყოველ შემთხვევაში ამართავენო». მესამე შტურმის დროს იაპონელებმა ერთი უცნაური საშუალება იხმარეს: მოკრილი ხეები მრავლად შეგზავნეს და ცეცხლი წაუკიდეს. ქარისაგან გაძლიერებულმა ცეცხლმა და კვამლმა აიძულა რუსები საჩქაროდ უკან დაწეულიყვნენ. იაპონელებმა 12 ათასამდე კაცი დაჰკარგეს: სანგრებში სისხლის ოფები იყო. ყველგან გვამები ეყარა. მოკლე ხნით ზაფის დროს დამარხეს.

ჩიფუ. 4 დეკემბერი (რეიტ. სააგ.). ღამე რამდენიმე ყუმბარა გოსპიტალს მოხვდა და მოჰკლა რამდენიმე ავადმყოფი. სხვა ავადმყოფები გაიქცნენ თოვლიან ქუჩებში. სტესსელის განკარგულებით პორტ-არტურის მცხოვრები ეძლევათ სამი თვის სამყოფი სურსათი. ტყვია-წამალი უფრო მეტ ხანს იკმარებს. 203 მეტრიან გორაკზე ბრძოლის დროს იაპონელთა ნაღმიანი გემები პორტის შესავალს მიუახლოვდნენ, სტესსელმა მათი იერიშის უკუქცევა ადმირალ ვირენს მიანდო; ადმირალმა «სევასტოპოლი» გარე რეიდში გაგზავნა, სადაც ის დადგა და ყოველ ღამ ბრენდებოდა ერთი ღღით პორტში. იმან იაპონელთა ნაღმიანი გემი დაღუპა. «სევასტოპოლს» მხოლოდ ზემოთა ნაწილი აქვს დაზიანებული. ვირენი, რომელიც «რეტვიზინ»-ზე ნავთ-სადგურში მიდიოდა, ხელში დაიჭრა მსუბუქად.

ჩიფუ. 6 დეკემბერი. (რეიტ. სააგ.). იაპონელთა ელჩი პორტ-არტურიდან მოგვითხრობს ფორტების იერიშებზე და ბრძოლზე იერიშების შესახებ. „უკანასკნელს იაპონელები ყუმბარებს 3 ღღის განმავლობაში ესროდნენ 20 დეკემბრიდან დაწყობილი. ამ ფორტის გარშემო რუსებმა გაიყვანეს თხრილი სიგრძით 600 მეტრი და სიგანით 10, გაიყვეს ნავთით და დაიფარეს ხეები და ჩალა. იაპონელების იერიშის ღროს, ბევრი იმათგანი თხრილში ჩავრდა. რუსებმა ელექტრონით წაუკიდეს ცეცხლი. დიდი ალი ავარდა. რამდენიმე ასი იაპონელი ცეცხლში დაიწვა. ცეცხლი მთელ ღამეს ბრიალებდა. მეორე ღღეს და ორი ღამის შემდეგ 152 რუსი ტყვეთ იქმნა წაყვანილი. იაპონელებმა მთელი პოზიცია დაიჭირეს; ფორტზე იაპონელების ღროშასთან ჩინელების ღროშაც არის ამართული. ამის მიზეზი ჯერ გამოარკვეული არ არის.—ყუმბარამ იაპონელთა გენერალს ხელი და ფეხი მოსწყვიტა.—როგორც პორტ-არტურიდან მოსული რუსები ამბობენ, იაპონელებს 8—24 ნოემბრამდის 203 მეტრიან გორაზე მოუკვდათ 18,000 კაცი, ბორდიზე—10,000 და იეზუშანზე—6,000.

ტოკიო, 6 დეკემბერი. (რეიტ. სააგ.). ყველა პორტ-არტურიდან მოსული ცნობები იმას ამტკიცებენ, რომ მეციხოვნე ჯარის მდგომარეობა უკიდურესობამდის არის მისული. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფორტების წინაღმდეგ მოქმედება ისე კარგად მიდის, რომ ერთ ალაგას იაპონელებსა და რუსებს შუა მხოლოდ 12 მეტრი მანძილია.

კეტერბურგი, ოფიციალურად დაინიშნენ; დეკანტენელნი სტატსი სოვეტნიკები ტაინი სოვეტნიკებად—ბაკოს გუბერნატორი თავადი ნაკაშიძე, თანაშემწე ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობის უფროსისა სეკასტიანოვი, მოსკოვის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ფონ-პისტელკოსი; სტატსკი სოვეტნიკები დეკანტენელნი სტატსკი სოვეტნიკებად: გუბერნატორები სარატოვისა სტოლიპინი, ტვერისა თავ. ურუსოვი, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელნი: ვორონეჟისა—ანდრეევსკი, ორიოლისა ბალიასნი, პენზისა ხვოსტოვი, ჩერნიგოვისა—ხვოსტოვი; ვიცეგუბერნატორები: ბესსარბიისა—ბლოვი, კალუგისა—თავ. გოლიცინი; კოლეგსკი სოვეტნიკები სტატსკი სოვეტნიკებად: კოვნოს გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ვერეკკინი, ყირიმის ვიცეგუბერნატორი გრაფ მურავიოვი; ნადვორნი სოვეტნიკები კოლეგსკი სოვეტნიკებად: სეღლეკკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ვოლოკინი, პოლტავის ვიცეგუბერნატორი ფონ-ვიზინი. დაჯილდოვებულნი არიან ორდენებით: მთავრის ალექსანდრე ნეველისა—კიევის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. რეპნინი, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი მინისტრის რჩევის წევრი მოროზოვი; თეთრი არწივისა: მინისტრის რჩევის წევრი ტოლსტოი, გუბერნატორები: ლიუბლინისა—ტხორჟენსკი, ტულისა—შლიპპე, მეორე ხარისხის ვლადიმირისა: ფოსტის და ტელეგრაფის უმთავრესი მმართველობის უფროსის თანაშემწე ინჟენერ ელექტრიკი კორმილცევი; ანნასი პირველი ხარისხისა: ბეჭდვითი საქმის უფროსი ზვერევი, რადოსის გუბერნატორი შიროვსკი, ვიცეგუბერნატორნი: ყაზანისა ლეგჩენკო, კიევისა შტაკელბერგი, კოსტრომისა იზეეკოვი, პირველი ხარისხის სტანისლავისა: გუბერნატორნი: კალინისა ნოვოსილცევი, პოლოცკისა სლეპკოვი, პოდოლისა ეიღერი, პეტროკოვისა არტამონოვი: ვიცეგუბერნატორნი: მოგილევისა ლადიჟენკი, რადომისა გაუფერბერგი, ამურის ოლქისა ტოსკინი; მესამე ხარისხის ვლადიმირისა: გუბერნატორნი: პოლტავის თავ. ურუსოვი, მოსკოვისა ერისტი, ვოლინისა კატალეი; ვიცე გუბერნატორნი: ვიტებსკისა კლიუჩაროვი, სეღლეკკისა ვოიეკოვი; მეოთხე ხარისხის ვლადიმირისა: ვიცე-გუბერნატორები: არხანგელსკისა ფონ-ლილიენ ნკეღლ-ტოალი, ტობოლისა ტროინიკკი, სუვალკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი სტრემუხოვი, ვორონეჟის გუბერნატორი ჩიტოვი; მეორე ხარისხის ანნასი: სუვალკის ვიცე-გუბერნატორი გრაფი ბორნნი.

ტოკიო, 4 დეკემბერი (რეიტერი). სტესსელმა 2 დეკემბერს გაუგზავნა ნოგის შემდეგი წერილი: «მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ თქვენი არტილერია ესვრის ჩვენს საავადმყოფოებს, რომელსაც ცხადად ეტყობათ, რომ ადმართული აქვთ წითელი ჯვრის ბაირაღი, რომელიც თქვენი პოზიციებიდან სჩანს. გთხოვთ სროლა შესწყვეტოთო. პატივისცემა იმ დაკრილ მამაცთადმი, რომელნიც წვანან საავადმყოფოებში მაიძულებს ამ თხოვნით მოგმართოთ. ჩვენ დაკრილთა შორის არიან დაკრილნი იაპონელნიცა. ვსარგებლობ შემთხვევით, განგიცადოთ სრული პატივისცემის გრძნობა». —პასუხი: «მაქვს პატივი დაგაარწმუნოთ, რომ ომის დაწყებიდან იაპონის ლაშქარს, ხელმძღვანელობდა რა ჰუმანიური გრძნობითა, არას დროს განძრახ არ უსროლია, არც შენობისთვის, არც გემებისთვის, რომელზედაც კი წითელის ჯვრის ნიშანი იყო. მაგრამ ციხის მომეტებული ნაწილი ჩვენი საარტელერიო პოზიციებიდან არა სჩანს, ამიტომ ყუმბარები ყოველთვის იქ არა ცვივა, საითკენაც არის მიმართული, უფრო იმიტომ, რომ მამაცურის მოგერების გამო ზარაბზნების დამიზნებას ხშირად ვცვლთ. ამისათვის, სამწუხაროდ, აღთქმას ვერ მოგცემთ, რომ ყუმბარები მხოლოდ მიზანში ამოდებულს ადგილს მოხვდეს. ვსარგებლობ შემთხვევით განგიცხადოთ უღრმესი პატივისცემა». ბალაშევმა, რომელიც სტესელმა გაგზავნა ნოგის რწმუნებულთან მაიორ ტაიტოსთან, მოითხოვა, რომ იაპონელები ნუფარ ესვრიან მთლად ქალაქის ახალს ნაწილსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს ძველისას, ტაიტომ უპასუხა, იაპონელნი სრულს თანხმობას ვერ მოგცემენ, რომ შეზდუდონ სროლის ადგილი.

შანჰაი, 30 ნოემბერი. (რეიტერი). როგორც ხმა, «რუსტორიჩნის» უფროსი ამხანაგებით გაქცეული ვლადივოსტოკს ინგლისის გემ «ნეგრეეიოთა». იაპონელნი ამისგამო ფხიზლად არიან.

შანჰაი. (რეიტერი). გუშინდელის სროლითი პორტ-არტურის ახალს ნაწილში სახლები და არსენალი დაზიანდა. ჩაღლუპა ნაღმისანი, აფეთქდა თოფის წამლის საწყობი და საგრძნობლად დაზიანდა გარეშე საგერი სიმაგრეები ფორტებისა.

**კეტერბურგი*. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა 5 დეკემბრის თარიღით: «სიხნდერთა ბრძოლის შესახებ 5 დეკემბერს ცნობები არ მოგვსვლია, ღამე 2 დეკემბერს მოახლისეთა რაზმმა საშერების შემწეობით ნაღმი ჩაიწყო გორაზე სოფელ თანხიზასას სამხრეთად, სადაც ღღისით ჩვეულებრივად დგება იაპონიის სადარაჯო რაზმი და ცეცხლს ანთებს ხოლმე. როდესაც იაპონელებმა საკმელს მზადება დაუწყეს, ნაღმი აფეთქდა; აფეთქების შემდეგ იაპონელებმა 8 კაცი წაიღეს. ღღისით ყოველთვის ზარაბზნის სროლაა. ყველგან ჯარებს კარგი და უხვი საკმელი ეძლევთა. ჯარები ბურის მადლიერნი არიან. ღღეს ერნვა 10 გრადუსამდეა. ზემორეს. უქვეშევრდომილესად მოგახსენებ თქვენს იმპერატორებთან უდიდებულესობას.

**კეტერბურგი*. 6 დეკემბერს. ცარსკოსელსკის სასახლეში უმაღლესთა თანადასწრებით სადღესასწაულო მღვდელ-მოქმედება შესრულდა ხელმწიფე იმპერატორის სახელოდ ნების გამო, აგრეთვე ქალაქის ყველა ეკლესიებში. 4 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგენენ ორი ავიაცერი და 8 ჯარის კაცი ზაამურის სამხედრო ოლქის არტილერიისა, რომელნიც შორეულ ადმოსავლეთიდან მოვიდნენ.

მუკდენი. (რეიტერი). მთელს ფრონტზე ზარაბზნის სროლაა. უფრო ძლიერი იყო 2 დეკემბერს, როცა იაპონელებმა

მოწონაგე პოზიციების წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინეს. რუსის ლაშქარი დგას თიხის შენობებში მთის ფერდობებზე და სოფლების გარშემო მინდვრებზე, ჯარი კარგს ყოფაშია. ბევრი თმიდი ტანისამოსია, აგრეთვე სანოგაგე, უხვად და დროზედ მოაქვთ, რაკი ჰყონავს, გზები კარგს ყოფაშია. დიდძალი თივა და ხორაცები მოდის მანჯურიიდან. აქაურს მაღაზიებში დიდძალი საქონელია, მაგრამ ძვირი კია.

ᲞᲣᲐᲜᲓᲘᲜ. 6 დეკემბერი, (საკ. კორეს). აღმოსავლეთისკენ მოხალისეთა რაზმებმა და ჯარხანებმა იერიშით აიღეს სოფელი პანდუშანი და გამოდევნეს იქიდან ი